

კვლევითი პროექტის საბოლოო ანგარიში

„კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) როლი უნივერსიტეტის მსმე მისიის გაძლიერებისთვის“

პროექტის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი გიოგი გაბედავა

2021 – 2022 წლები

g.gabedava@bntu.edu.ge



მიმოხილვა

კვლევითი პროექტი განხორციელდა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერების მიზნით, შესაბამისად ის მჭიდრო გავშირშია ბნსუ-ს მისიასთან და პროექტის შედეგად განხორციელებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიის შესრულებას. კერძოდ ბნსუ-ს მისიაში მკაფიოდ არის გაცხადებული, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისია ***"რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობაა"***, მესაბამისად ეგ თავისთავში გულისხმობს უნივერსიტეტის მხრიდან განაცხადს მესამე მისიის გაძლიერებასთან დაკავშირებით. გამომდინარე აქედან განხორციელებულ პროექტში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) არის წარმოდგენილი, როგორც ინსტრუმენტი მესამე მისიის დაგეგმვის, დანერგვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის. პროექტის შედეგად ბნსუ-ს აქვს შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნილი სამოქმედო გეგმა, რომლითაც უზრუნველყოფს CSR-ის საშუალებით უნივერსიტეტის მესამე მისიის ინსტიტუციურ დონეზე დანერგვას და განვითარებას.

ასევე, პროექტი ხელს უწყობს ბნსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებას CSR-ისა და უნივერსიტეტის მესამე მისიის შესახებ, ხოლო ბნსუ, როგორც ინსტიტუცია დაინტერესებული მხარეების მიერ იქნება მიჩნეულ, პასუხისმგებლიან ინსტიტუციად, რომელიც მუდიმვად ზრუნავს იმ რეგიონის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარებსთვის სადაც ოპერირებს.

აქტუალობა

რატომ უსდ-უს მესამე მისია?

თანამედროვე ხედვის თანახმად, ტრადიციული ფუნქციების გარდა (სწავლება და კვლევა) უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მესამე მნიშვნელოვანი ფუნქციაც უნდა შეითავსონ - წვლილი შეიტანონ იმ თემის, რეგიონის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, რომელშიც არიან ლოკალიზებულნი.

უნივერსიტეტების მესამე მისიის გაძლიერება საქართველოს უსდ-ებში არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამუშაო დღის წესრიგში ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, მათი ამოცანაა მეტად მოახდინონ მესამე მისიის აქტივობების შეფასების ინტეგრირება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებში.

აქედან გამომდინარე, პროექტის თემა აქტუალურია და დაეხმარება ბნსუ-ს მესამე მისიასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებასა და გაძლიერებაში.

გავლენა ბნსუ-ს „სამოქმედო გეგმის“ რეალიზებაზე

ბნსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის 2019-2025 მეოთხე თავით - „მისია; კორპორაციული ხედვა; კორპორაციული სტრატეგია“ სხვა პრიორიტეტულ მიზნებთან ერთად პრიორიტეტულ მიზნად განსაზღვრულია **ბნსუ-ს რეგიონის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ წევრად ჩამოყალიბება.** აღნიშნული პროექტის განხორციელება და პროექტის შედეგად მიღებული შედეგების განხორციელება ხელს უწყობს ზემოხსენებული სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული მიზნის რეალიზებას.



პროექტის გუნდი

კვლევითი პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვნენ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი და სტუდენტი.

პროექტის შესრულების გეგმა



აბსტრაქტი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) არის ბიზნესის ვალდებულება გააძლიეროს ეკონომიკური განვითარება, ამავდროულად გაუმჯობესოს სამუშაო ძალის, მათი ოჯახების და ზოგადად საზოგადოების ცხოვრების ხარისხი. CSR-ის კომპონენტებია კორპორატიული მმართველობა, ბიზნეს ეთიკა და სამუშაო ადგილი და საქმიანი ურთიერთობები. კარგი რეპუტაციისა და კონკურენტული უპირატესობის მისაღებად, CSR არის უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სტრატეგია. დღეს, მაღალი კონკურენტუნარიან სცენარში გადარჩენისთვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებს სჭირდებათ ძლიერი კორპორატიული სტრატეგიები. CSR ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუდმივ გაუმჯობესებას გარე ზემოქმედებითა და შიდა შესაძლებლობებით, ეფექტურობითა და მენეჯმენტით.

პროექტის გუნდის მიერ საკვლევი თემა აქტუალურია, რადგან ფართო გაგებით უნივერსიტეტების მესამე მისია შესაძლოა გაგებულ იქნეს როგორც უნივერსიტეტის მხრიდან უანგარო ზრუნვა საზოგადოების კეთილდღეობისთვის კონკრეტული აქტივობების შესრულებისა და კომუნიკაციის გზით და მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფართო საზოგადოების თანამშრომლობას ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე, რაც დაკავშირებულია სოციალურ პასუხისმგებლობასა და ჰორიზონტალურ ანგარიშვალდებულებასთან. დღესდღეობით განათლების მზარდმა გლობალიზაციამ და ინტერნაციონალიზაციამ, ეკონომიკურმა განვითარებამ, ბიძგი მისცა უნივერსიტეტებს გადაეხედა საკუთარი როლისთვის, რომელიც აქამდე ძირითადად ფოკუსირებული იყო სწავლებასა და კვლევებზე და ეტვირთა მესამე მისია, რომელიც **საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში მონაწილეობას გულისხმობს.**

საკვანძო სიტყვები: CSR, უმაღლესი განათლება, CSR ელემენტები, ბიზნეს ეთიკა, მესამე მისია.

ABSTRACT

Corporate Social Responsibility (CSR) represents a business's dedication to advancing economic growth while simultaneously enhancing the well-being of its workforce, their families, and the broader society. CSR encompasses crucial components such as corporate governance, business ethics, and relationships within the workplace and the business environment.

In today's fiercely competitive landscape, higher education institutions and universities must adopt robust corporate strategies to secure a favorable reputation and gain a competitive edge. Incorporating CSR into their operational frameworks not only aligns with societal expectations but also drives continuous improvement within these institutions. This improvement is facilitated by both external influences and internal capabilities, fostering efficiency and effective management.

The research topic undertaken by our project team holds significant relevance, particularly when considering the "third mission" of universities. This mission can be broadly defined as the altruistic commitment of universities to society's well-being through specific actions, communication, and collaboration. It emphasizes the engagement of higher education institutions with society at various levels—local, regional, national, and global—promoting social responsibility and horizontal accountability. The increasing trends of globalization and the internationalization of education and economic development have compelled universities to redefine their traditional roles. While their primary focus has historically been on teaching and research, there is a growing imperative to embrace the third mission. This entails active participation in the economic, social, and cultural advancement of society, reflecting a broader and more holistic approach to university contributions.

Keywords: CSR, higher education, CSR elements, business ethics, third mission.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია: CSR-ის დანერგვა ბნსუ-ში, როგორც ინსტრუმენტი უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებისთვის.

- CSR სამოქმედო გეგმის შექმნა და იმპლემენტაცია;
- საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების შესწავლა (კვლევა) და შესაბამისი ნაშრომის მომზადება;
- პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით.

კვლევის ობიექტი და მეთოდები

წარმოდგენილი კვლევის განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე თვისებრივი კვლევისთვის ჩატარდა ჩაღმავებული ინტერვიუ, ხოლო რაოდენობრივი კვლევისთვის შეიქმნა - ანკეტა კითხვარი. გენერალური ერთობლიობიდან შერჩევის მიზნით გამოყენებულ იქნა შერჩევის ტიპი - კლასტერული შერჩევა.

კვლევის ობიექტი: კვლევაში მონაწილეობდა ბნსუ-ს მენეჯმენტი, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. უცხოეთის პრაქტიკის მიზნით კვლევაში ჩართული იყო 10 უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულება და 10 ქართული უნივერსიტეტი. კვლევაში ჩართული რესპოდენტთა რაოდენობა: სულ 181 რესპოდენტი.

ასევე, სამაგიდე კვლევის ფარგლებში პროექტის გუნდის მიერ გაანალიზებულ იქნა 10 სამეცნიერო სტატია და 3 სახელმძღვანელო.

ანკეტა-კიტხვარით გამოკითხვა განხორციელდა აპლიკაცია Kobo Toolbox-ით, ხოლო რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა ანალიტიკურ პროგრამაში - SPSS.

თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, რაოდენობრივი კვლევის შედეგების გამყარება.

განხორციელებული კვლევის შედეგები





რესპოდენტთა პროცენტული გადანაწილება



კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსინალი; სტუდენტები;

იცნობთ თუ არა ბნსუ-ს მისიას?



პერსონალი



სტუდენტები

გამოკითხული პეროსნალის 100% ამბობს, რომ ისინი იცნობენ ბნსუ-ს მიასას, თუმცა გამოკითხულ სტუდენტთა 17% ამბობს, რომ ისინი არ იცნობენ დაწესებულების მისიას.

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსინალი; სტუდენტები;

ჩაგტარებიათ თუ არა საინფორმაციო შეხვედრა ბნსუ-ს ღირებულებებისა და ქცევის ნორმების შესახებ?



პერსონალი



სტუდენტები

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსონალი; სტუდენტები;





კითხვაზე ჩაგტარებიათ თუ არა საინფორმაციო შეხვედრა ბნსუ-ს ღირებულებებისა და ქცევის ნორმების შესახებ, პერსონალის 10% პასუხობს, რომ მათ არ ჩატარებიათ მსგავსი შეხვედრა, ხოლო სტუდენტთა 19% ამბობს იგივეს.

უწყობს თუ არა ხელს ბნსუ თანამშრომლების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და კარიერულ წინსვლას - კითხვაზე პერსონალის 15% უარყოფითად პასუხობს, ხოლო კითხვაზე - სისტემატურად იღებთ თუ არა მუშაობის ეფექტურობის შეფასების კვლევში მონაწილეობას, რომელშიც განსაზღვრულია ინდივიდუალური ამოცანები, განხილულია უნარ-ჩვევების განვითარება და კარიერული ზრდის პერსპექტივები პერსონალის 16% პასუხობს „ნაწილობრივ", 3% უარყოფითად და 2%-ს არა აქვს პასუხი.

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსონალი; სტუდენტები;





არსებობს თუ არა ბნსუ-ში პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს ადეკვატური ზომების მიღებას დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის შემთხვევაში (მაგ. ქალების, ეთნიკური ჯგუფების, შშმ პირების დისკრიმინაციის)? - პერსონალის 67% დადებითად პასუხობს კითხვას, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას რომ დაწესებულებაში არსებობს პროცედურა და მექანიზმი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის შემთხვევაში მისი აღკვეთის თაობაზე.

დანერგილია თუ არა ბნსუ-ში ყველასთვის ნათელი დისციპლინური ზომები, რომლებიც სამართლიანად გამოიყენება? - პერსონალის 67% დადებითად პასუხობს კითხვას.

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსინალი; სტუდენტები;

გაქვთ თუ არა ბნსუ-ში საჩივრებისა და პროტესტის სამართლიანად წარმართვის შესაძლებლობა?



პერსონალი

მიღებულია თუ არა ბნსუ-ში თანამშრომელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის დამაკმაყოფილებელი ზომები?



პერსონალი

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსინალი; სტუდენტები;

უზრუნველყოფს თუ არა ბნსუ თანამშრომლებისთვის ჯეროვან ბალანსს სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის, მაგალითად, მოქნილი სამუშაო საათების ან სახლიდან მუშაობის შესაძლებლობის შეთავაზებით?



პერსონალი

უზრუნველყოფს თუ არა ბნსუ თანამშრომლების ხელფასების დროულ გადახდას?



პერსონალი

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსინალი; სტუდენტები;

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სოციალურ ღონისძიებებში უნივერსიტეტის სახელით?



პერსონალი



სტუდენტები

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსინალი; სტუდენტები;

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა გარემოს დაცვით ღონისძიებებში უნივერსიტეტის სახელით?



პერსონალი



სტუდენტები

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსონალი; სტუდენტები;

გსმიათ თუ არა "კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR)" შესახებ?



პერსონალი



სტუდენტები

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსონალი; სტუდენტები;

ისურვებდით თუ რა აიმაღლოთ ცოდნა CSR-ის შესახებ?



პერსონალი



სტუდენტები

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი

მიგნებები მენეჯმენტის კვლევის შედეგად

გაქვთ თუ არა უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებული, უნივერსიტეტის საზოგადოებრივცვ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა?	√
გაქვთ თუ არა მკაფიოდ ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის ღირებულებები და ქცევის ნორმები?	√
იციან თუ არა თქვენმა თანამშრომლებმა თქვენი უნივერსიტეტის ღირებულებებისა და ქცევის ნორმების შესახებ?	√
იციან თუ არა თქვენმა მომხმარებლებმა თქვენი უნივერსიტეტის ღირებულებებისა და ქცევის ნორმების შესახებ?	√
ცდილობს თუ არა თქვენი უნივერსიტეტი შეისყიდოს ადგილობრივი მომწოდებლებისგან?	√
აქვს თუ არა თქვენს უნივერსიტეტს დანერგილი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტურ უკუკავშირს, კონსულტაციას და დიალოგს მომხმარებელთან?	√

კვლევის შედეგები - ბნსუ-ს მენეჯმენტი; პერსონალი; სტუდენტები;

მიგნებები მენეჯმენტის კვლევის შედეგად

გიცდიათ ოდესმე შეგემცირებინათ თქვენი უნივერსიტეტის ზემოქმედება გარემოზე (ქაღალდის მოხმარება, ელ-ენერგიის დაზოგვა და ა.შ)?	√
ატარებთ თუ არა გარემოს დაცვით ღონისძიებებსა და კამპანიებს?	√
გყავთ თუ არა ჩართული სტუდენტები მსგავს აქტივობებში?	√
უწევს თუ არა თქვენი კომპანია ადგილობრივ სათემო აქტივობებს და პროექტებს რეგულარულ ან პერიოდულ ფინანსურ მხარდაჭერას (მაგ.,საქველმოქმედო შეწირულობების ან სპონსორობის სახით)?	√
სთავაზობს თუ არა თქვენი უნივერსიტეტი სწავლის/ტრეინინგის შესაძლებლობას ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს (მაგ. სტაჟირების შესაძლებლობა; კონსულტაცია; სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის)	√
ატარებთ თუ არა საინფორმაციო სემინარებს თანამშრომლებისთვის უნივერსიტეტის ღირებულებების და ქცევის ნორმების მნიშვნელობის შესახებ?	√
ახორციელებთ თუ არა სოციალურ ღონისძიებებს რეგიონში?	√

კვლევის შედეგად გამოკითხული, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის წარმომადგენელის პასუხებიდან ირკვევა, რომ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, მისი მენეჯმენტი და თანასაზოგადოება მუდმივად ცდილობს **საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში მონაწილეობას და შესაბამისი კონტრიბუციის გაღებას.**



კვლევის ფარგლებში, საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით გამოკითხულ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 100% აღნიშნავს, რომ მათ მისიაში გაცხადებული აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა, თუმცა 70 % ამბობს, რომ მათ არა აქვთ ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის CSR სტრატეგია. ხოლო 60% აღნიშავს, რომ მათ სასწავლო პროგრამებში არა აქვთ სასწავლო კურსი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“.



უცხოეთის პრაქტიკის შესწავლის მიზნით გამოკითხული უნივერსიტეტების 100% აღნიშნავს, რომ მათ მისიაში გაცხადებული აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. ქართული რეალობისგან განსხვავებით 100% ასევე, აღნიშნავს, რომ მათ სასწავლო პროგრამებში აქვთ სასწავლო კურსი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ და გაწერილი აქვთ CSR სტრატეგია.

გაცემული რეკომენდაციები

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის სახით ჩამოვაყალიბოთ, რომ CSR-ის გამოყენება უმაღლეს განათლებაში ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებას და ამავდროულად უნივერსიტეტის თანასაზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს აუმაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას. უნივერსიტეტში CSR-ის განხორციელებისას საჭიროა შემდეგი ძირითადი ასპექტების გათვალისწინება:

- ჩამოყალიბდეს CSR სტრატეგია და განხორციელდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიასთან თანხვედრაში;
- მნიშვნელოვანია მოტივირებული პერსონალისა და მენეჯმენტის მხარდაჭერა, ჩართულობა და მზადყოფნა განხორციელებაში;
- სოციალური პასუხისმგებლობის ქმედებები არის მნიშვნელოვანი სიგნალი პროფესორ-მასწავლებლებისთვის, პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რომ აიმაღლონ პასუხისმგებლობის გრძნობა;
- კვლევიდან ჩანს, რომ დღევანდელ სტუდენტებს და პერსონალს არ აქვთ საკმარისი თეორიული ცოდნა CSR-ის კონცეფციის შესახებ, ამიტომ სასურველია სასწავლო პროგრამებში დაემატოს CSR-ის სასწავლო კურსი და რეგულარულად მოეწყოს საინფორმაციო შეხვედრები.
- უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ურთიერთობა თემებთან მუდმივი სოციალური მხარდაჭერით;

დასკვნა

თანამედროვე უნივერსიტეტებმა უნდა გააცნობიერონ და CSR მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის წყაროდ განხილონ, მას აქვს დიდი პოტენციალი, წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის აკადემიური კურიკულუმების მარკეტინგში. უნივერსიტეტებმა უნდა დაამატონ CSR დაკავშირებული საგნები თავიანთ სასწავლო პროგრამებში. მენეჯმენტმა უნდა დაეხმაროს და წაახალისოს ნებისმიერი კორპორატიული ჯგუფის მიერ CSR-თან დაკავშირებული ინიციატივები. საჭიროა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ითანამშრომლონ უნივერსიტეტბთან CSR-ის განვითარებასთან დაკავშირებით, რითაც დაეხმარებიან უნივერსსიტეტებს გააძლიერონ მესამე მისია. ამით უნივერსიტეტები კონკურენციას გაუწიონ ცვალებად საგანმანათლებლო ინდუსტრიას და ქმედებები გამოკვეთს მათ ღირებულებებსა და ნორმებს. CSR ეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოიზიდონ კვალიფიციური მუშაკები და საუკეთესო სტუდენტები და შეღავათები ეკონომიკურ გარემოში დაბალანსებული ანგარიშის წარდგენის, სოციალური მუშაობის და მისი ოპერაციების გავლენის თვალსაზრისით. საჭიროა, რომ მენეჯმენტი აქტიურად ჩაერთოს სოციალური პასუხისმგებლობის ქმედებების მხარდასაჭერად და განხორციელებაში, რაც მნიშვნელოვანი სიგნალია მასწავლებლებისთვის, პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის და ასახავს დაწესებულების იმიჯს.

კვლევის შედეგების გამოყენების სფერო

კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ, მათი მესამე მისიის გაძლიერების მიზნით. თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ იქნება შემდეგი ნაშრომი: **„Role of Corporate Social Responsibility in Higher Education Institutions“.**

ნაშრომის წარდგენა მოხდება საერთაშორისო კონფერენციაზე: „Global Conference on Research in Social Sciences“ (ლივერპული, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო).

ბნსუ-ს სოციალური პასუხისმგებლობიის რეალიზების სფეროები



პროექტის შუალედური ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბერს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიზნობრივი შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) როლი უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებისთვის“ შუალედური ანგარიშის წარდგენა გაიმართა.

პროექტის გუნდამ წარადგინა კვლევითი პროექტის პირველ 6 თვეში განხორციელებული სამუშაობის შესახებ ანგარიში, რაც მოიცავდა: პროექტის იდეის ფორმირება; პროექტის სამოქმედო გეგმა; შესავალი კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობაში (CSR); პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლვლევის შედეგები; პროექტის ბიუჯეტი; სამომავლო აქტივობები; ანგარიშის წარდგენას ბნსუ-ს პერსონალი და სტუდენტები ესწრებოდნენ.



ტრეინინგი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“

2022 წლის 26 – 28 იანვარს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიზნობრივი შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი პროექტის „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) როლი უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებისთვის“ ფარგლებში ჩატარდ ტრენინგი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“. ტრენინგს ბნსუ-ს აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები/პროფესიული სტუდენტები ესწრებოდნენ. სულ ტრეინინგი გაიარა 42-მა პირმა. ტრეინინგი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ტრენერმა, CSR-ის ექსპერტმა ლელა ხოფერიამ ჩაატარა.



საჯარო ლექცია "კორპორატიული პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და პრაქტიკა საქართველოში"

2021 წლის 19 ნოემბერს, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ჩატარდა ონლაინ საჯარო ლექცია „კორპორაციული პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და პრაქტიკა საქართველოში". ლექციის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი თემები: რა არის კორპორაციული მდგრადობა და მისი ისტორიული განვითარება; ბიზნესის პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგი; კორპორაციული პასუხისმგებლობა საქართველოში;

ლექციის დასრულების შემდეგ გაიმართა დებატები. ლექცია ჩაატარა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის აღმასრულებელმა დირექტორმა სალომე ზურაბიშვილმა. ლექცია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიზნობრივი შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი პროექტის „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) როლი უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებისთვის" ფარგლებში ჩატარდა.

პროექტი „მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში“ – KICK OFF MEETING

2021 წლის 17 ივნისს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი დაესწრო Kick-off Meeting-ს, რომელიც ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის „მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში“ განხილვას ეძღვნებოდა.

სწავლა-სწავლებასთან და კვლევასთან ერთად უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებას - საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას მიეძღვნა პირველი სამუშაო ონლაინ შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა. პროექტი ხორციელდება Erasmus+-ის ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამის ფარგლებში.

პროექტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩართულები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საერთაშორისო სააკრედიტაციო საბჭო EFMD (ბელგია), რვა ქართული და სამი ევროპული უნივერსიტეტი.

პროექტი უნივერსიტეტების მესამე მისიის გაძლიერებას ისახავს მიზნად და ხელს უწყობს საქართველოს მდგრად სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

შეხვედრის ფარგლებში წარდგენილი იქნა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიზნობრივი შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი პროექტის „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) როლი უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებისთვის“ ძირითადი მიზნები და აქტუალობა.

დასკვნითი კონფერენცია: „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში“

2022 წლის 9 – 10 ოქტომბერს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მეორე მოადგილემ საგანმანათლებლო პროცესებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით - ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი გაბედავამ მონაწილეობა მიიღო პროექტის „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში“ (SQUARE) ფარგლებში გამართულ კონფერენციაში.

კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა კონსორციუმის წევრი ქართული უნივერსიტეტების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული მესამე მისიის საპილოტე აქტივობები.

„მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში“ (SQUARE) პროექტის მიზანია უნივერსიტეტების მესამე მისიის ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუშავდება მეთოდოლოგია და გზამკვლევები მესამე მისიის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების შესახებ, რომელიც, პროექტით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებთან ერთად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებულებებს დაეხმარება მესამე მისიის კონტექსტში სტრატეგიის შემუშავებაში.

კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა.

პროექტის ფარგლებში შეძენლი ლიტერატურა

პროექტის ფარგლებში შესყიდულ იქნა კვლევის თემატიკასთან თავსებადი ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულ იქნება სასწავლო კურსის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის“ სასწავლო რესურსად. ლიტერლატურა გადაეცა ბნსუ-ს ბიბლიოთეკას.

სახელმძღვანელოები

პარტნიორობა პროექტის ფარგლებში

პროექტის მიზნებისა და დაგეგმილი აქტივობების ეფექტურად განხორციელების მიზნით, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმების შესაბმის ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და „გაეროს გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელი“.

პროექტის ბიუჯეტი



გამოყენებული ლიტერატურა

[1]. Gumport, P. J. (2000). Academic Restructuring: Organizational Change and Institutional Imperatives. Higher Education;

[2]. Gioia, D. A. and Thomas, J. B. (1996). Institutional Identity, Image, and Issue Interpretation: Sensemaking during Strategic Change in Academia. Administrative Science Quarterly 41(3);

[3]. G.Saraf() , " Corporate Social Responsibility and Education in India", Maratha Mandir"s Babasaheb Gawde Institute of Management Studies;

[4]. Stensaker, B. (2007). The Relationship between Branding and Organizational Change. Higher Education Management and Policy19 (1);

[5]. Melewar, T. C. and S. Akel (2005). The Role of Corporate Identity in the Higher Education Sector A Case Study. Corporate Communications: An International Journal 10(1);

[6]. Heena Kashyap (2014), "Corporate Social Responsibility Towards Education in India", Research Directions, Vol.1, Issue 12, ISSN: 2321-5488;

[7]. M.Gupte, K.Jadhav(2014), "Corporate Social Responsibility: Towards New Agenda", Abhinav International Monthly Refereed Journal of Research in Management & Technology, Vol.3, Issue 4, ISSN:2320-0073;

[8]. Komal Choudhary (2015), "A Study of CSR in India", International Journal of Research in Commerce, Economics & Management, Vol.5, Issue 1, ISSN: 2231-4245;

[9]. Corporate Social Responsibility-Challenges in the age of Globalisation, P.V Khatri/ Indu Baghel- Global Vision Publishing house;

[10]. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო; ლელა ხოფერია - გამომცემლობა პეტიტი - 2012;

პროექტის გუნდი

- ბნსუ-ს ასოცირებული პროფესორი გიროგი გაბედავა - პროექტის ხელმძღვნელი;
- ბნსუ-ს პროფესორი ქეთევან გოლეთიანი - წევრი;
- ბნსუ-ს პროფესორი ნათია მიქელთაძე - წევრი;
- ბნსუ-ს კანცლერი ლალი ხვედელიძე - წევრი;
- ბნსუ-ს ლოგისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ნიცა მდივანი - წევრი.

დაფინანსების წყარო

კვლევითი პროექტი დაფინანსებულია ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიზნობრივი შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი საგრნატო პროექტის ფარგლებში.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-506-58-1